# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 23

ხელშეკრულების დადების საფუძველია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების 23-ე მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტი

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2014 წლის "6" 01 ქ. თბილისში

**შემსყიდველი:** შინაგან საქმეთა სამინისტრო, საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის დირექტორის ვლადიმერ ხატიაშვილის სახით.

- **მისამართი:** ქ. თბილისი, გ. გულუას ქუჩა №10
- **საბანკო რეკვიზიტები:** სახელმწიფო ხაზინა. საიდენტიფიკაციო კოდი 204383176
- **მიმწოდებელი:** შპს "ლუმენი" საიდენტიფიკაციო კოდი 436 032 696
- **მისამართი:** ქ.მცხეთა, აღმაშენებლის ქ. №65
- **დირექტორი:** შოთა ვასაძე
- **საბანკო რეკვიზიტები:** სს "თიბისი ბანკი"; ბ/კ: TBCBGE22; ა/ა: GE35 TB78 7393 6080 1000 01

ერთი მხრივ, **შემსყიდველი** და მეორე მხრივ, **მიმწოდებელი** ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულების №1 დანართში (ფასების ცხრილი) აღნიშნული **საქონელი** ხელშეკრულების პირობების შესაბამისად:

ფანარი

(საქონლის მოკლე აღწერა)

1.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში და ფორმით.

## 2. ხელშეკრულების ფასი

2.1. **ხელშეკრულების ფასი** შეადგენს:

290.00 (ორას ოთხმოცდაათი) ლარს

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

2.2. საქონლის ერთეულის ფასი და ხელშეკრულების ფასი შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს, დაკავშირებულს საქონლის მიწოდებასთან და შემსყიდველის საკუთრებაში გადაცემასთან, მათ შორის, დამატებითი ღირებულების გადასახადს.

2.3. ფასების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

## 3. ხარისხი

3.1 საქონლის ტექნიკური მახასიათებლები და ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ ხელშეკრულების №1 დანართში (ფასების ცხრილი) აღნიშნულ მაჩვენებლებს და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ ხარისხის დამადასტურებელ საბუთს.

## 4. მიწოდების წესი

4.1. საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს **მიმწოდებელი** საკუთარი ხარჯებით ამ ხელშეკრულების №1 დანართში (ფასების ცხრილი) მითითებულ ვადებში და ადგილზე.

4.2. მიმწოდებელი ვალდებულია საქონლის ყოველი პარტიის გაცემისას უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაცია, მათ შორის, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, სასაქონლო ზედნადები, კანონმდებლობით დადგენილი სხვა დოკუმენტაცია.

4.3. შემსყიდველი უფლებამოსილია გადაცემის დროს ჩაატაროს საქონლის შემოწმება/კონტროლი, რისთვისაც გამოყოფს შესაბამის უფლებამოსილ პირს **შსს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს მომარაგების სამსახურის სპეციალისტს გია ყიფშიძეს, ხოლო საქონლის მიღება-ჩაბარებას განახორციელებს ტრანსპორტის სამმართველოს შესაბამისი უფლებამოსილი პირი.** მიმწოდებელი პასუხს აგებს მიწოდებული საქონლის ხარისხზე, ხოლო შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი ყოველ მიწოდებულ პარტიაზე მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან 10 დღის განმავლობაში, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს ინსპექტირების ჩატარების დროს და თუ ამ პერიოდში აღმოჩნდება უხარისხო (წუნდებული) საქონელი შემსყიდველი უფლებამოსილია წარუდგინოს მიმწოდებელს დასაბუთებული რეკლამაცია, რის შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია 10 დღის განმავლობაში ან გამოცვალოს წუნდებული პროდუქცია, ან ამავე ვადებში დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული საქონლის ღირებულება.

4.4. შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი დაგვიანებით მიწოდებულ, უხარისხო (წუნდებული), არასათანადოდ შეფუთული ან არასრული მოცულობით წარმოდგენილი თანმხლები დოკუმენტაციის მქონე საქონლის პარტიის მიღებაზე.

4.5 საქონლის გადაცემა დასტურდება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი შესაბამისი საბუთებით (მიღება-ჩაბარების აქტი და სხვა), რომელთა ხელმოწერამდე ყველა ქონებრივი უფლება საქონლზე ეკუთვნის მიმწოდებელს, რომელიც პასუხისმგებელია შესაძლო რისკებზე – საქონლის შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) დაღუპვაზე, გაფუჭებაზე ან რაიმე ზიანზე. ხელმოწერის მომენტიდან აღნიშნული უფლებები და რისკები გადადის შემსყიდველზე.

4.6 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

## 5. ანგარიშსწორების წესი

5.1 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ღირებულება ეტაპობრივად, საქონლის ყოველი პარტიის გადაცემის შემდეგ **20** კალენდარული დღის განმავლობაში კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე, მასში აღნიშნული რაოდენობის პროპორციულად.

5.2 ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.

5.3 გადახდის ფორმა: უნაღდო ანგარიშსწორება.

## 6 მხარეთა ურთიერთვალდებულებები და პასუხისმგებლობა

6.1 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

6.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისთვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6.3 შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებელი საქონლის რაოდენობის ღირებულების **0,2%-ის** ოდენობით.

6.4 შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს დააკისროს ჯარიმა მიუწოდებელი საქონლის ღირებულების **3%-ის** ოდენობით.

.

## 7 ფორს-მაჟორი

7.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

7.2 ამ მუხლის ფარგლებში "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული მიმწოდებლის შეცდომებსა და/ან დაუდეგრობასთან და რომელთა გათვალისწინებაც შეუძლებელი იქნებოდა წინასწარ. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებათა მკვეთრი შემცირებით და სხვა.

7.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში იმ მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების დადგომის და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 8 სხვა პირობები

8.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2014 წლის 25 თებერვლის** ჩათვლით და /ან მხარეთა მიერ თავისი მოვალეობების სრულ შესრულებამდე.

8.2 მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხს განიხილავს სასამართლო.

8.3 ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

8.4 დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველის პირობების გაუარესება გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8.5 ორივე მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან სხვა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

| შემსყიდველის მხრიდან | მიმწოდებლის მხრიდან |
|---|---|
| შს საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის<br>დირექტორი | შპს "ლუმენი"-ს<br>დირექტორი |
| ვლადიმერ ხატიაშვილი | შოთა ვასაძე |

დანართი №1 2014 წლის "06" 01 "№23" ხელშეკრულებასთან

## ფასების ცხრილი

| № | საქონლის დასახელება და ტექნიკური მახასიათებლები | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის ფასი (ლარი) | ჯამური ღირებულება (ლარი) | მიწოდების ვადები | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ფანარი C8 Q5 | ცალი | 2 | 70.00 | 140.00 | ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის 15 იანვრის ჩათვლით | ქ.თბილისი, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად |
| 2 | ფანარი WF-1500 | ცალი | 1 | 150.00 | 150.00 | | |
| სულ: | | | | | 290.00 | | |

**შემსყიდველის მხრიდან:**

შსს საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის დირექტორი

ვლადიმერ ხატიაშვილი

**მიმწოდებლის მხრიდან:**

შპს "ლუმენი"-ს
დირექტორი

შოთა ვასაძე